საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4449
09/06/2023

4449-21-2-202306091610

**შპს „მეგა ჰოლდინგს“**
**მის:** ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, ზაჰესი
**ელ.ფოსტა:** info@tbilcement.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგენილი N4881 განცხადება, რომელიც ეხება კასპის მუნიციპალიტეტში, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოსა და ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშის თავში 5.2 მოცემული მდ. მტკვრიდან წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები (X-449234; Y-4641353) არ ემთხვევა ზედაპირული წყლის ობიექტს და საჭიროებს კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშის თავში 5.3 მოცემული მეორე სალექარის პარამეტრების (30X5X3 = 360 $м^3$) გაანგარიშება არასწორია და საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშში მოცემულ გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა-გრაფიკში მითითებულია, რომ ხმაურითა და ვიბრაციით მოსალოდნელი ზემოქმედების მონიტორინგი განხორციელდება უახლოეს საცხოვრებელ სახლთან შემდეგ GPS კოორდინატებზე: x-450029; y-4641761. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ აღნიშნული GPS კოორდინატები ემთხვევა უშუალოდ საპროექტო ტერიტორიას, რაც საჭიროებს კორექტირებას. ამავე ცხრილში მითითებულია, რომ ატმოსფერულ ჰაერის ხარისხზე მონიტორინგი განხორციელდება „საწარმოს ტერიტორიაზე და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან შემდეგ GPS კოორდინატებზე: x-450029; y-4641761“, თუმცა მოცემულია მხოლოდ ერთი GPS კოორდინატი, რომელიც ემთხვევა საწარმოს ტერიტორიას, ხოლო უახლოესი საცხოვრებელი სახლის კოორდინატები არ არის წარმოდგენილი, რაც საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმოში სასარგებლო წიაღისეულის შემოტანა ამ ეტაპზე ხორციელდება შპს „მეგა ჰოლდინგის“ სხვადასხვა

ლიცენზირებული კარიერიდან. ამასთან, მითითებულია, რომ კომპანიამ აიღო ახალი სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) მოპოვების ლიცენზია, რაზეც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით მომზადდა გზშ-ის ანგარიში, ხოლო ახალი კარიერიდან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებულ, კანონით გათვალისწინებული პროცედურების გავლის შემდგომ, კომპანია წარმოებისთვის საჭირო ნედლეულს, გარდა სხვა კარიერებისა, შემოიტანს აღნიშნული ახალი კარიერიდანაც. დოკუმენტაციის მიხედვით, ახალი კარიერიდან ნედლეულით მომარაგების შემთხვევაში, დატვირთულ თვითმცლელებს არ მოუწევთ ქალაქში არსებული გზების გამოყენება და დასახლებულ პუნქტთან გავლა, რაც შეამცირებს სატრანსპორტო ნაკადებსა და მოსახლეობაზე გამოწვეულ შესაძლო ზემოქმედებას. N56 სკოპინგის დასკვნის თანახმად, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების მარშრუტების შესახებ (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით), ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკის და ნედლეულის/პროდუქციის შემოტანა-გატანის პროცედურების სიხშირის მითითებით, თუმცა დოკუმენტში მოცემულია მხოლოდ ახალი კარიერიდან ნედლეულის შემოტანის მარშრუტი და არ არის მოცემული ინფორმაცია სხვა კარიერების ადგილმდებარეობის შესახებ (ტრანსპორტირების მარშრუტების რუკაზე ჩვენებით), რაც საჭიროებს დაზუსტებას;

- გარდა ამისა, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის გათვალისწინებული სააგენტოს 2023 წლის 21 მარტის N21/1957 წერილში მითითებული საკითხი, კერძოდ გზშ-ის ანგარიშში მოცემული დანართი 2 (საწარმოს გენ. გეგმა ხმაურის წყაროების დატანით), სურათი N5.3.1 (საწარმოო ობიექტის გენ. გეგმა) და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში მოცემული დანართი 1 (საწარმოს ტექნოლოგიური სქემა გაფრქვევის წყაროების ჩვენებით) წარმოდგენილია კვლავ დაბალი რეზოლუციით და არ არის გარჩევადი.

დამატებით გაცნობებთ, რომ ახალი კარიერიდან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე შპს „მეგა ჰოლდინგის“ მიერ 2023 წლის 2 მაისს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით სააგენტოში წარმოდგენილ N3788 განცხადებაზე (ქ. კასპის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. მტკვარზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) ღია კარიერული წესით მოპოვება) 2023 წლის 6 ივნისის N21/4253 წერილის შესაბამისად, გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ. შესაბამისად, ახალი კარიერიდან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე არ არის გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული, სრულყოფილი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენის შემდეგ

ნინო თანდილაშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო